საბჭოთა თემატიკა ქართველი მოდერნისტი მწერლების შემოქმედებაში

(მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას რომანების მიხედვით)

დავით კამკამიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი - ბელა წიფურია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

დავით კამკამიძე

24/06/2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ფსევდო-ლიტერატურული მიმდინარეობა „სოციალისტური რეალიზმი“, როგორც საბჭოთა სისტემის გაძლიერება-განმტკიცების ინსტრუმენტი. ნაჩვენებია მისი სპეციფიკა და თავისებურებანი, თუ რას ასახავდა იგი და როგორი კუთხით უჩვენებდა რეალობას?! აღწერილია 1920-55 წლებში შექმნილი ლიტერატურის ნაწილი და გამოცემები, რომლებიც ხასიათდებოდა კატეგორიულობითა და იდეალების ერთგულებით. გამოკვეთილია სქემები და ვალდებულებები, რაც პედანტურად უნდა შეესრულებინა თითოეულ ავტორს, რათა მისი ნაწარმოებები დაბეჭდილიყო და თვით კი პატივი მოეპოვებინა ხელისუფლებისაგან.

ნაშრომში წინა პლანზე წამოწეულია საბჭოთა ლიტერატურის „უტოპიური რეალობა“. ძირითად ნაწილში არგუმენტებითა და სამეცნიერო ნაშრომების დახმარებით ახსნილია, თუ რატომ იქმნებოდა ბანალური, მაამებლური თხზულებები იმ რომანისტების მიერ, რომლებიც მანამდე იზიარებდნენ მოდერნისტულ ესთეტიკას, მოდერნულ აზროვნებასა და მსოფლმხედველობას; რატომ ერიდებოდა საბჭოთა ავტორი, მხატვრულად აღეწერა გარემომცველი რეალობა?! აგრეთვე, ცხადად ჩანს თავისუფალი კრიტიკისა და თარგმანის, როგორც ლიტერატურისთვის საციცოცხლოდ საჭირო დარგების გაქრობა, მიზეზები და შედეგები.

სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია კოსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის საბჭოური რომანები, რომლებიც მათი შემოქმედების ძირითადი ნაწილისგან ძირეულად განსხვავდება. ნაშრომში აღწერილი რომანები გამოირჩევა უტოპიზმითა და პრაგმატული წერის მანერით (ტექსტის ანალიზისას ვხვდებით რამდენიმე ღრმა მეტაფორულ გადახვევას, რომლებიც არ აქარწყლებს რომანთა პარადოქსულობასა და არადამაჯერებლობას).

ნაშრომის მიზანია მკითხველს დაანახვოს „სოციალისტური რეალიზმის“ ცრუ ფასეულობები, რომელიც უკუაგდებდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ინდივიდუალიზმს, კრიტიკულ აზროვნებას.

დასმულია პრობლემური კითხვები: რას ემსახურებოდა „ძალდატანებითი ოპტიმიზმი“ ლიტერატურაში? როგორი იყო საბჭოთა პროტაგონისტი? რა მიზნებს ემსახურებოდა ტექსტის პროლოგი-ეპილოგი? და სხვ.

ნაშრომიდან ვიგებთ თუ რისი გადატანა მოუწიათ მწერლებს, რომლებიც ინარჩუნებდნენ ინდივიდუალიზმს და ყველანაირად თავს არიდებდნენ მეტამორფოზას, რაც ხორციელი გადარჩენისთვის უნდა განეხორციელებინათ.

სამაგისტრო ნაშრომში მოყვანილია მაგალითები სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომიდან. თითოეული მოსაზრება გამყარებულია კონკრეტული ციტატით.

დასკვნაში პუნქტებადაა შეჯამებული სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურული დოქტრინა, ხელისუფალთა მიერ შემუშავებული მასტაბილიზირებელი სქემები, „მოთვინიერებული“ მწერლების პარტიული აქტიურობა და გამონაკლისის სახით - ნაწარმოებებში თავისუფალი, ინდივიდუალური და პატრიოტული მოტივების მნიშვნელობა და არსი.

და ბოლოს, ნაჩვენებია, თუ როგორია მოდერნისტი მწერლის შემოქმედებაში საბჭოური თემატიკით და გამომსახველობითი ხერხებით ლავირება; როგორ იცვლება ტექსტის მხატვრული ღირებულება, იმ ნაწარმოებებთან შედარებით, რომლებშიც თითოეული პასაჟით ემსახურება სიმართლეს და არ კარგავს ლიტერატურულ ღირსებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალისტური რეალიზმი, უტოპია, ლიტერატურული დოქტრინა.

David Kamkamidze

Ilia State University,
Tbilisi, Georgia

Soviet Themes in Novels by Georgian Modernist Writers Mikheil Javakhishvili and Konstantine Gamsakhurdia

Abstract

This master thesis is a study of Socialist Realism method as introduced into Georgian literary milieu, and the adoption of this new style imposed from the Soviet center by Georgian writers previously accepting the modernist cultural style.

Socialist Realism as the instrument of strengthening the Soviet system was designed in the Russian-Soviet Centre with the high involvement of the political leadership. The study highlights its specification and peculiarity of Socialist Realism - what it was showing, and how it was presenting the reality of the time.

The novels by leading Georgian prose writers, Mikheil Javakhishvili and Konstantine Gamsakhurdia, produced in 1930-1950ies, are characterized by inexorability and devotion to ideals. The authors accept schemes and responsibilities which were to be followed by each writer if they wanted their writings to be published and to gain respect from the Soviet power; however, they manage to deliver the messages which show their free thinking and national aspirations.

The study presents the utopian reality of Soviet literature. Applying to arguments and research approaches developed by leading scholars, the main part of the study describes, why writers with modernist aesthetical priorities were made to create such banal and servile writings; why Soviet authors were avoiding describing figuratively the concert facts?! It also highlights the reasons and results of the disappearance of such vital parts of literature like unbiased literary criticism and free choice of translations.

This study analyses novel by Konstantine Gamsakhurdia *The Flowering of the Wine;* and novels by Mikheil Javakhishvili: *The Woman's Burden* and *Arsena from Marabda*, which are so different from their previous major texts. The novels differ with their utopian and pragmatic style of writing.

The goal of the study is to show the reader the fake values of Socialist Realism, which altered humanistic values, individualism and critical thinking. There are such problematic questions like: what goals were served through "violent optimism" in literature, what was Soviet protagonist like?

The study highlights the fate of Georgian writers, who tried to save their individualism and avoided metamorphose and thus were made to suffer just to survive.

In the conclusion, there is a listed summation of the doctrine of Socialist Realism - the stabilizing scheme which was worked out by the Soviet leadership. However, some writers, like Mikheil Javakhishvili, managed to represent in their works the true meaning and main points of personal and national freedom, individuality and patriotic motives.

Key Words: Socialist Realism, Utopian literature, Literary doctrine.

სარჩევი

შესავალი..... 3

თავი I. სოციალისტური რეალიზმი - ესთეტიკა პოლიტიკის სამსახურში 5

თავი II. მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი“ - მაამებლობა თუ მხილება?..... 19

თავი III. მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ - გლეხთა ბრძოლის ეროვნული შინაარსი..... 29

თავი IV. კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“ - კოლექტივიზაცია კომპრომისული პერსპექტივიდან 37

დასკვნა..... 55

ბიბლიოგრაფია..... 57

მადლობა

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას იმ ხელშეწყობისთვის, რომელიც გამეწია მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში.

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ბელა წიფურიას, რომელმაც გამიწია გულითადი სამეცნიერო ხელმძღვანელობა და მთელი ამ დროის მანძილზე მაძლევდა ფასეულ რჩევებს.

დავით კამკამიძე

26/06/2017